პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N

--ივლისი 2019 წელი ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ემუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 24-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

ა) ზურაბ ნაკაიძე _ კომისიის თავმჯდომარე;

ბ) დავით მახარაძე _ კომისიის წევრი;

გ) ირაკლი თოფურიძე _ კომისიის წევრი;

დ) ანზორ დევაძე _ კომისიის წევრი;

ე) მუხამედ ართმელაძე_კომისიის წევრი;

ვ) ომარი მახარაძე _ კომისიის წევრი;

ზ) ლევან ანთაძე _ კომისიის წევრი.

თ) თამაზ სალუქვაძე _ კომისიის წევრი;

ი) გოჩა მგელაძე _ კომისიის წევრი;

კ) გელა დეკანაძე _ კომისიის წევრი.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის გელა დეკანაძის უფლებამოსილების ცნობით, მას როგორც საკრებულოს წევრს უფლება აქვს იყოს საკრებულოს მუდმივმოქმედ არაუმეტეს ორ კომისიის კომისიის შემადგენლობაში , საკრებულოს წევრი გელა დეკანაძე თანახმაა იყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის შემადგენლობაში საფინანსო და ეკონუმიკური განვითარების სფეროში მუშაობისა და აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ნაკაიძე

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე